# ფიზიკური აღზრდის და სპორტის თეორიის, მეთოდიკის, მენეჯმენტისა და ისტორიის კათედრა

*კათედრის გამგე, ასოცირებული პროფესორი – ვასილ ბაკაშვილი*

1938 წელს, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში შეიქმნა **ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრა**. კათედრის პირველი გამგე იყო დოცენტი ვლადიმერ კუზოვლევი; 1949 წლიდან – პროფესორი ვასილ ელაშვილი; 1973-1987 წლებში – პროფესორი შოთა ბუაძე; 1987-2006 წლებში – პროფესორი გიული კახიძე; 2006-2007 წლებში – ასოცირებული პროფესორი ვასილ ბაკაშვილი. სპორტის უნივერსიტეტში ამ სტრუქტურას ეწოდება **„ფიზიკური აღზრდის და სპორტის თეორიის, მეთოდიკის, მენეჯმენტისა და ისტორიის კათედრა“**. 2018 წლიდან მისი გამგე კვლავ ვასილ ბაკაშვილია.

## ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგეები

ვლადიმერ კუზოვლევი



კათედრის გამგე
1938-1949 წწ.

ვასილ ელაშვილი



კათედრის გამგე
1949-1973 წწ.

შოთა ბუაძე



კათედრის გამგე
1973-1987 წწ.

გიული კახიძე



კათედრის გამგე
1987-2006 წწ.

ვასილ ბაკაშვილი



კათედრის გამგე
2006-2007 წწ.,
და 2018 წლიდან

კათედრაზე, გამგეებთან ერთად, წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ პროფესორ-მასწავლებლები:

გოგი შანშიაშვილი, რომუალდ ნეგრებეცკი, ირაკლი ვარდიშვილი, ელენა მელნიკოვა,

 მიხეილ მაისურაძე

 ალექსანდრე რატია

 შოთა მამარდაშვილი

 შალვა ელიაშვილი

 ნოდარ აღდგომელაშვილი

 ლევან გიორგაძე

 თენგიზ ხერხეულიძე

 მიხეილ ოყროშიძე

 ზინაიდა ბაღდავაძე

 ავთანდილ ცომაია


ოთარ ვახანია


მამია ტუღუში


გიორგი ტუღუში


მანუჩარ დვალი


ეტტა ბარიკიანი, ლაბორანტი


კახა ხარიტონაშვილი


სოფიო ბუაძე, ლაბორანტი


ეთერ სიფრაშვილი, ლაბორანტი

თავისი არსებობის მანძილზე, კათედრა ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას: ფიზიკური აღზრდის სისტემის სრულყოფის, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის, ფიზიკური თვისებების განვითარებისა და სპორტული წვრთნის პროცესის სრულყოფის მიზნით. კათედრის მოღვაწეობა მიმართული იყო იმ ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად, რაც ითვალისწინებდა ფიზიკური აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებულ პროცესს, ჩვილობის პერიოდიდან – განვითარებული ახალგაზრდის ჩამოყალიბებამდე. კათედრის პროფესორ-მასწავლებლები იკვლევდნენ ფიზიკური აღზრდის საკითხებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (ა. რატია, შ. მამარდაშვილი, შ. ბუაძე, ე. მელნიკოვა და სხვანი); მონიტორინგს უწევდნენ ფიზიკური აღზრდის პროგრამების განხორციელებას სკოლებში და ამუშავებდნენ ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციულ-მეთოდურ საკითხებს სკოლა-ინტერნატებისათვის. ვასილ ელაშვილმა და გიული კახიძემ, არაერთი პუბლიკაცია და სამეცნიერო შრომა მიუძღვნეს ქართულ ხალხურ თამაშებსა და ქართულ-ხალხური ფიზიკური აღზრდის საკითხებს.

კათედრის წევრები აქტიურად სწავლობდნენ ფიზიკური თვისებების განვითარების მეთოდიკის საკითხებს. თავის დროზე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პრაქტიკოსების დიდი ინტერესი გამოიწვია მ. მაისურაძის მიერ, 1958-1962 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა, რომლებშიც შესწავლილი იყო ამტანობის განვითარების თავისებურებები, დიდი სიმძლავრის სამუშაოს შესრულების დროს.

კათედრის პროფესორ-მასწავლებლების მიერ ჩატარებული კვლევებისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე შემუშავებული წინადადებები, არაერთგზის იქნა გათვალისწინებული და პრაქტიკაში გამოყენებული, სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ. კათედრის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად მუშაობდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობის ნაკრებ გუნდებთან და სამეცნიერო კომპლექსურ ჯგუფებში. კათედრაზე მომზადდა ერთი სადოქტორო და ექვსი საკანდიდატო დისერტაცია. კათედრის თანამშრომლების მიერ, ასობით სამეცნიერო სტატია, მეთოდური ნაშრომი და სახელმძღვანელოა გამოქვეყნებული. კათედრა აქტიურად იყო ჩართული ასპირანტურისა და სამაგისტრო პროგრამებში.

1978 წლიდან, კათედრას შეუერთდა ჭადრაკის სპეციალიზაცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქართული ჭადრაკის თვალსაჩინო მემატიანე და საჭადრაკო მიმომხილველი – თენგიზ გიორგაძე. მასთან ერთად მოღვაწეობდნენ პროფესორი მერაბ თხელიძე და საერთაშორისო

დიდოსტატი – დავით გურგენიძე; ასევე, ლაბორანტი, საერთაშორისო არბიტრი ლელა თანდაშვილი. ჭადრაკის სპეციალიზაციის კურსდამთავრებულთა შორის იყვნენ საერთაშორისო დიდოსტატი, ქართული სპორტის ისტორიაში ევროპის პირველი და ამ მომენტამდე ერთადერთი ჩემპიონი ვაჟი, ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი – ზურაბ აზმაიფარაშვილი; საერთაშორისო დიდოსტატები: ი. ეფიმოვი, გ. ბაღათუროვი, ბ. ხეცურიანი, თ. სანიკიძე და გ. ყუფარაძე; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები: ა. არსენიძე, დ. ზარქუა, შ. აზალაძე და სხვები.

ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრას ყოველთვის შეჰქონდა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში.

1953 წელს, შეიქმნა **ფიზკულტურული მოძრაობის მართვისა და სპორტის ისტორიის კათედრა**, რომელსაც დაარსებიდან 1969 წლამდე უძღვებოდა პროფესორი მიხეილ გორგაძე; 1969 წლიდან, კათედრას სათავეში ჩაუდგა პროფესორი ავთანდილ ციბაძე. შემდგომ პერიოდში (1985-1996 წწ.), კათედრას ხელმძღვანელობდა დოცენტი აკაკი დოკვაძე, ბოლოს კი (1996-2006 წწ.) – დოცენტი ლელა აფციაური.

## ფიზკულტურული მოძრაობის მართვისა და სპორტის ისტორიის კათედრის გამგეები




კათედრაზე, გამგეებთან ერთად, წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ პროფესორ-მასწავლებლები:

ფრიდონ რუსიშვილი, დავით ჟვანია,


პეტრე ოქონაშვილი


გივი ყირმელაშვილი


ნონა ოქონაშვილი


თინათინ მჭედლიშვილი


თემურ მიქიაშვილი


ციური ფარქოსაძე


ქეთევან შავლიაშვილი


სოფო ლობჟანიძე



მაყვალა ლობჟანიძე
ლაბორანტი



რუსუდან კაპანაძე
ლაბორანტი

ფიზკულტურული მოძრაობის მართვისა და სპორტის ისტორიის კათედრაზე, თავდაპირველად იკითხებოდა ორი საგანი: ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია (პედაგოგები: მიხეილ გორგაძე, ავთანდილ ციბაძე, ციური ფარქოსაძე, პეტრე ოქონაშვილი) და ფიზკულტურული მოძრაობის მართვა; მოგვიანებით (1980 წლიდან), დაიწყო სპორტის მენეჯმენტის სწავლებაც (პედაგოგები: თინათინ მჭედლიშვილი, აკაკი დოკვაძე, ფრიდონ რუსიშვილი, ქეთევან შავლიაშვილი). 1988 წლიდან დაემატა კიდევ ერთი საგანი – სპორტის სოციოლოგია (პედაგოგი: ლელა აფციაური). კათედრაზე ფუნქციონირებდა შემდეგი სპეციალობები: დაწყებითი კლასების ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი; ტურიზმის მენეჯმენტი და ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტი (თ. მიქიაშვილი).

## ფიზიკური აღზრდის და სპორტის თეორიის, მეთოდიკის, მენეჯმენტისა და ისტორიის კათედრის წევრები



**ვასილ ბაკაშვილი**
სპორტის დამსახურებული მუშაკი, პედაგოგიკის დოქტორი[2], ასოცირებული პროფესორი, კათედრის გამგე



**ჯემალ (გურამ) ძაგანია**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სპორტის რაინდი, რექტორი



**მანუჩარ დვალი**
საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, პედაგოგიკის დოქტორი, უფროსი სპეციალისტი

[2] 2004 წლის 21 დეკემბრის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის №688-რს ბრძანების 89-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად (გვ. 53), „ამ კანონის ძალაში შესვლამდე [ე.ი. 2006 წლის 31 დეკემბრამდე] მოპოვებული ყველა მიმართულების მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან“.

ესე იგი, დღეს, საქართველოს აკადემიურ სივრცეში, არსებობს სამი დეფინიცია:

1. პედაგოგიკის/ბიოლოგიის/მედიცინის და ა.შ., **მეცნიერებათა დოქტორი**;
2. სპორტის/განათლების/მედიცინის და ა.შ. **დოქტორი – PhD** (ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი);
3. პედაგოგიკის/ბიოლოგიის/მედიცინის და ა.შ. **მეცნიერებათა კანდიდატი**, რომელიც მართალია არ არის PhD, მაგრამ [2006 წლის 31 დეკემბრის შემდეგ], გათანაბრებულია დოქტორის (PhD) აკადემიურ ხარისხთან.

**ამის გათვალისწინებით, მეცნიერებათა კანდიდატები, ამ წიგნში მოხსენიებული იქნებიან როგორც შესაბამისი დარგის დოქტორები: მაგალითად, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი → პედაგოგიკის დოქტორი; ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი → ბიოლოგიის დოქტორი და ა.შ.**



**ვასილ ლიპარტელიანი**
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი



**ნიკოლოზ გოგოლაძე**
დოქტორანტი, ასისტენტი, მენეჯმენტის უფროსი სპეციალისტი



**მამუკა მაღლაკელიძე**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი (PhD), ასისტენტი, მოწვეული პედაგოგი, მთავარი სპეციალისტი



**დავით აზალაძე**
მოწვეული პედაგოგი



**არსენ ბურჯალიანი**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პედაგოგი



**ვლადიმერ ბოჟაძე**
დოქტორანტი, ასისტენტი, მოწვეული პედაგოგი



**ზაზა ჯაფარიძე**
სოციალური მეცნიერებების დოქტორი – PhD, ასოცირებული პროფესორი



**ანზორ ჯაფარიძე**
დოქტორანტი, ასისტენტი, მოწვეული პედაგოგი



**დალი ვასაძე**
მოწვეული პედაგოგი



**თინათინ მჭედლიშვილი**
სპორტის დამსახურებული მუშაკი, მენეჯმენტის სპეციალისტი

